ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1726 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 14 თებერვალი № 17-6

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“.** ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელ“ „**სურათებიანი დამატებით**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ. 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ზ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ბ. დ. ყიფიანის მონაწილეობით

მეფე ლირი

ტრაგედია 5 მოქმ. შექსპირისა თარგ. მაჭავარიანისა და მაჩაბლისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა. ბ.ბ. ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, სარჯველაძე, მოურავიშვილი, კორტოხელი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „დემონი“ ოპერა რუბინშტეინისა, „ძაღლს აღმართსა ხნავს“. „ზოგი ჭირი მარგებელია“.

რეჟისორი **ვ. გუნია**

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. 4 თებერვალს პალატა სარწმუნოების ბიუჯეტის განხილვას შეუდგა. დეპუტატმა ბრეტონმა მოითხოვა 100 ფრანკი დაეკლოთ ამ ბიუჯეტსაო. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ პალატა 1903 წელს სარწმუნოების ბიუჯეტს სულაც გააუქმებსო. პირველმა მინისტრმა ვალდეკ-რუსომ ამ წინადადების წინააღმდეგ ილაპარაკა. მინისტრმა შენიშნა, რომ ეხლანდელი პალატა ორი თვის შემდეგ დათხოვნილი იქმნება და ამიტომ 1903 წლისათვის ვერაფერ მოვალეობას ვერ იკისრებს თავის თავზეო. ამის შემდეგ პალატამ ბრეტონის წინადადება 336 ხმით 172 წინააღმდეგ უარ-ჰყო.

✡ გაზეთები სწერენ: ვარის დეპარტამენტის რადიკალ-სოციალისტები მომავალ არჩევანში ვარის სენატორად გათქმულ მოღვაწეს ჟორჟ კლემანსოს აარჩევენ. ამბობენ, კლემანსო ნამდვილად იქმნება არჩეულიო. კლემანსო დიდხანს იყო ვარის დეპუტატად პალატაში, მაგრამ 1894 წლის არჩევნის დროს გააშავეს.

ავსტრ-უნგრეთი. სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ტრიესტში სამხედრო წესები შემოიღონ და ეხლა ეს განკარგულება პარლამენტს წარუდგინა დასამტკიცებლად. როცა ამ განკარგულებას იხილავდნენ, მუშების დეპუტატმა ელენბოგენმა სასტიკად გაკიცხა ტრიესტის მთავარ-მართებლისა, სამხედრო უფროსებისა და პოლიციის მოხელეების ქცევა. კერბერი ამტკიცებდა, რომ ტრიესტში დიდი არეულობა მოხდა და ამიტომ მთავრობაც არა ტყუის, რომ სასტიკად მოიქცაო. ბოლოს პირველმა მინისტრმა სთქვა: იმედი მაქვს, ხალხი მალე დამშვიდდება და სამხედრო წესებს გავაუქმებთო. ელენბოგენი ისე მკაცრად ლაპარაკობდა, რომ რეიხსრატის თავმჯდომარემ რამდენჯერმე გააჩუმა. ბოლოს კათოლიკე პარტიის დეპუტატმა კატრეინმა ურჩია რეიხსრატს, 37 კაცი ავარჩიოთ და დავავალოთ, რომ 8 დღის განმავლობაში მთავრობის ქცევა ტრიესტში გამოიძიონ და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენონ პარლამენტსაო. რეიხსრატმა მიიღო კატრეინის წინადადება.

✡ ტრიესტში მომეტებულ ნაწილად იტალიელები ცხოვრობენ, ამიტომ ავსტრიის სხვა პროვინციაში მცხოვრებმა იტალიელებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს ტრიესტელ იტალიელებს: ტიროლში ქალაქ ტრიენტში ყველა სახლებზე შავი ბაირაღები გამალეს, ქალაქის საბჭოზე გლოვის ნიშნად ბაირაღი დაუშვეს. ტრიენტის საბჭომ ტრიესტის ქალაქი თავს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა. მოკლული მუშების დასაფლავების დროს ტრიესტში დიდი სამგლოვიარო პროცესია გამართეს. პროცესიაში ყველა ჯურის და წოდების ხალხმა მიიღო მონაწილეობა. საბჭოს წევრებმა (ხმოსნება) სიტყვები წარმოსთქვეს: მთავრობის ქცევა გაკიცხეს და მოკლული მუშები დიდის თანაგრძნობითა და სიბრალულით მოიხსენიეს.

იტალია. მინისტრებს უთანხმოება ასტყდათ: ზოგიერთი მინისტრი წინააღმდეგია, რომ მარილის ფასი დააკლონ. ესენი ამბობენ: ეს დაკლება არაფერს შეღავათს არ მისცემს ხალხსა, ხაზინას კი შემოსავალი დააკლდებაო. საზოგადო სამუშაოთა მინისტრი ჯუსო სამსახურიდან გადის: ფინანსთა მინისტრთან უთანხმოება მოსდის რკინის გზების საქმის თაობაზე, ცალკე კიდევ კანონპროექტი ცოლ-ქმართ გაყრის შესახებ არ მოსწონს.

ბელგია. ამ ბოლო დღეებში ხალხმა ბევრ ქალაქში დიდი კრებები მოახდინა და ყველგან საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების დაწესება მოითხოვა. შალრუაში კრებაზე 15 ათასი კაცი შეიყარა და სოციალისტების ყველა დეპუტატებიც დაესწრნენ. პოლიციას ბრძანება ჰქონდა მიცემული ხალხისათვის ხმა არ გაეცა. ამიტომ კრებამაც მშვიდობიანად ჩაიარა. შეკრებილმა ხალხმა მეფე ლეოპოლდს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა, ხალხის თხოვნა შეისმინეთ და მთელი ბელგიის ერის სურვილი შეასრულეთო.

ესპანია. მადრიდიდან ამბავი მოსულიათ გაზეთებს, რომ ბარცელონაში გაფიცულთა რიცხვი 80,000-მდე ავიდაო. ბარცელონას გარშემო სოფლებმაც, სადაც კი ფაბრიკებია გამართული, გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს. რაკი ბარცელონაში ხალხი არეულობას ახდენს, ჯარები სხვა ადგილებიდანაც დაიბარეს. რაც ქალაქში თეატრები, დუქნები და რესტორანებია, სულ დაიკეტა. ქუჩებში მიმოსვლა და მოძრაობა შესწყდა: გაზეთები აღარ გამოდის. „დიარიო მერკანტილ“-ის რედაქციამ ნომრის გამოშვება მოინდომა, მაგრამ გაფიცულმა მუშებმა დაბეჭდილი ნომრის ყველა ეგზემპლიარები ხელში ჩაიგდეს და დასწვეს. იტყობინებიან, რომ სამხედრო უფროსებმა გადასწყვიტესო: ყველა სამეტალურგიო ქარხნის პატრონები დავიბაროთ და ვურჩიოთ, რომ მუშების თხოვნა შეასრულონ და ცხრა საათის სამუშაო დღე დააწესონო.

ბარცელონაში მომხდარი არეულობის თაობაზე დეპუტატები პალატაში მთავრობას დაეკითხნენ და საყვედური გამოუცხადეს: მხნედ ვერ იქცევა მთავრობაო. შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხათ: მუშებმა ერთსა და იმავე დროს 72 ადგილას მოახდინეს კრება: პოლიციის უფროსმა ვეღარა გაასწრო-რა და ამდენ კრებაზე პოლიცია ვეღარ გაგზავნა. მინისტრმა კანონ-პროექტი წარუდგინა პალატას, რომ ბარცელონას პროვინციაში დროებით კონსტიტუციის წესები გააუქმოთო.

იაპონია. ინგლისური გაზეთების კორესპონდენტების სიტყვით, ყველა იაპონიური გაზეთები დიდის სიხარულითა და აღტაცებით ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ იაპონიამ ინგლისთან კავშირი შეკრა და დიდ სახელმწიფოთა საბჭოს წევრად გახდაო. ერთი გავრცელებული იაპონიური გაზეთი კი შენიშნავს, რომ იაპონიამ დიდი პასუხის გებაც იკისრა თავის-თავზე და დიდი მეცადინეობა დასჭირდება, რომ ნაკისრი მოვალეობა აასრულოსო. იაპონია ძლიერ შეცდება, თუ იფიქრა, რომ ამას იქით ომი აღარ მოხდებაო. ინგლისთან კავშირს მარტო მაშინ ექნება მნიშვნელობა, თუ იაპონია ცდასა და მხნეობას არ მოაკლებს და წინანდებურ პოლიტიკას არ გადაუხვევს.

იაპონიური გაზეთი „სიჯი“ ამბობს:

„იმედი გვაქვს, ამას იქით ვეღარც ერთი სახელმწიფო ვეღარ გაჰბედავს კორეის დაჭერას. ეხლა ყველამ იცის, რომ კორეის გულისთვის იაპონიას და დიდ-ბრიტანიასაც უნდა გადაეკიდოს. დიდი ამბავი მოხდა: თავისი განათლებითა, სიმდიდრითა და ძლიერებით განთქმული ინგლისი იაპონიას დაუკავშირდა. ორივე სახელმწიფომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა უნდა დაიცვან“.

„ნიში ნიში შინბუნ“-ი სწერს: „დიდი-ბრიტანიის ისტორიაში საოცარი ამბავი მოხდა: ეს ქვეყანა უოველთვის მარტოდ-მარტო მოქმედებდა. ეხლა კი თავის წინანდებურ პოლიტიკაზე ხელი აიღო და იაპონიას დაუმეგობრდა. ინგლის-იაპონიის კავშირი მარტო ჩინეთსა და კორეის კი არ მოუტანს სიკეთეს; დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოებსაც დიდ სარგებლობას მოუტანს: შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობას ვეღარავინ დაარღვევს. ამნაირ კავშირებზე საზოგადოდ ხმას არ იღებენ ხოლმე, ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობა კი მაშინვე გამოაცხადეს, იმიტომ რომ ამ ორივე სახელმწიფოს დასამალი არა ჰქონდათ-რა: მშვიდობიანობის დაცვის მეტი სხვა არა უდევთ-რა გულში. თუ რომელიმე სახელმწიფო ჩინეთში, ანუ კორეაში ადგილის დაჭერას მოინდომებს, თავდაპირველად, რასაკვირველია, ამ კავშირს უნდა გასცეს პასუხი. იმ სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ მთელ აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი სამხედრო ქვეყანა იაპონია და მთელ ქვეყნიერობაზე ყველაზე ძლიერი ფლოტის მქონე ინგლისი საერთოდ იმოქმედებენ და უბრძოლველად ერთ ფეხის გადადგმა ადგილსაც არავის არ დაანებებენ არც ჩინეთში, არც კორეაში“.

„ასაჰი შინბუნ“-ი სწერს: „როცა იაპონიის პარლამენტში გაიგეს, რომ იაპონიამ და ინგლისმა კავშირი შეკრესო, ყველა დეპუტატები დიდის აღტაცებით მიეგებნენ ამ ამბავს. იაპონიის ერმაც დიდის სიხარულით მიიღო ეს ამბავი. როცა ინგლისმა და გერმანიამ აღრე ერთმანეთში შეთანხმება ჩამოაგდეს, იაპონიაც ხელად მიემხრო ამ სახელმწიფოებს, რადგანაც უოველთვის მშვიდობიანობისა და ზავის მონდომე იყო და ჩინეთის ხელ-უხლებლობას იცავდა. კორეაც სადავოდაა გამხდარი, ამ ქვეყანაზედაც ბევრს უჭირავს თვალი. თუმცა იაპონიამ რუსეთთან პირობა შეკრა, რომ კორეას არც ერთმა მათგანმა ხელი არ ახლოსო, რუსეთი მაინც ისე გაიძვერულად იქცეოდა, რომ შიში იყო: ვაი თუ რუსეთმა თავის საოცარ სიხარბესა და გაზვიადებულ მედიდურებას კორეაც შესწიროს მსხვერპლადაო. ეხლა კი კორეისა შიში აღარ გვექმნება და ევროპის მშვიდობიანობაც აღარ დაირღვევა“.

ყველა იაპონიური გაზეთები განურჩევლად ულოცვენ იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს და ნამეტნავად იაპონიის ელჩს, ბარონ ჰამტის (ლონდონში ელჩად), რომ ესეთი დიდი საქმე მოახერხესო. ამისთანა დიდი საქმე ჯერ არას დროს არ მომხდარა იაპონიის ისტორიაშიო.

ინგლისი. ლორდ როზბერის ამ დღეებში კიდევ ულაპარაკნია ლივერპულში. ლორდს თავისი ნათქვამი გაუმეორებია: მთავრობის პოლიტიკა სასტიკად გაუკიცხავს და ლიბერალებისათვისაც ისევ პროგრამის გახლება ურჩევია. ლიბერალებმა უსათუოდ უნდა გამოიცვალონ თავიანთი ძველი დახავსებული პროგრამმაო. ჩემი რჩევა რომ გაიგონონ, ხელად დაამხობენ ეხლანდელ მთავრობას, რადგანაც ამ მთავრობამ დიდი შეცდომები ჩაიდინა და ხალხისთვისაც აღარას არიგებსო.

✡ „ბირმ. დაილი ნიუს"-ს გაუგია: ლორდ როზბერის მომხრეებს გადაუწყვეტიათ, კემბელ-ბანერმანის მიმდევარ ლიბერალებთან ყოველი კავშირი შეეწყვიტოთო, რადგანაც ეს ლიბერალები ბურებს ესარჩლებიანო. გაზ. „სტანდარდ"-ი სწერს:

„ლივერპულში ნათქვამმა სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა ლიბერალებში. ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ როზბერიმ თავისი სიტყვით უფრო გააძლიერა განხეთქილება ოპოზიციაშიო. ლიბერალ-იმპერიალისტებს იმედი აქვთ, რომ როზბერი ლიბერალების მომეტებულ ნაწილს თავის მხარეს გადაიყვანსო; ლიბერალური დასის უკიდურესი ფრთა კი აცხადებს: ლორდ როზბერი ისეთ პოლიტიკას ადგომია და ირლანდიის ჰომრულზე ისეთი აზრი გამოსთქვა, რომ ლიბერალური დასი როზბერის არას-დროს აღარ მიიწვევს თავის წინამძღოლადაო. მალე ოპოზიციის წინამძღოლი კემბელ-ბანერმანი ლესტერში ილაპარაკებს და როზბერის ახალ პროგრამმას გაარჩევს. ლიბერალების აზრით, ოპოზიციის წინამძღოლის ნათქვამს დიდი მნიშვნელობა ექნება."

„დეილი ნიუს"-ი სწერს: „თავის პარტიაში ლორდ როზბერი თითქმის აშკარად იწვევდა ლიბერალ-უნიონისტებს და ამბობენ ახალ-გაზრდა კონსერვატორებსაც, მაგალითად ვინსტონ ჩერჩილსაო."

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში ესპანიაზე სწერია: „ხალხის რიცხვი 40-მდე ადის". უნდა იყოს: „40 ათასამდე ადის".

ახალი ამბავი

◆ გუშინ დილით ბაქოს მატარებლით დაბრუნდა ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი **გ. ს. გოლიცინი,** რომელიც შემახის დაზარალებულთა დასათვალიერებლად იყო წასული.

◆ ტფილისის გუბერნატორი, რომელიც ქალ. გორში იყო წასული სამსახურის საქმეების გამო, გუშინ ტფილისში **დაბრუნდა.**

◆ ტფილისის **საბჭოს მორიგი სხდომა,** რადგანაც წარსულ ორშაბათს არ შესდგა, დანიშნულია დღეისათვის.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, განსვენებულის ვ. ნ. გეევსკის ნაცვლად, კავკასიის სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორად **დაუმტკიცებია** აგრონომი ი. კ. ვასილიევი.

◆ იმ დღიდან, რაც ტფილისის გაზეთებმი დაიწყეს დაზარალებულ შემახელთათვის შემოწირულების მიღება, დღემდის ყველა ადგილობრივ რედაქციებში შეგროვდა 7,314 მან. და 12 კაპ.

◆ 12 თებერვალს განსაკუთრებულმა კომისიამ ქალაქის თავის მოადგილის თავმჯდომარეობით, ექსპერტების ეგოროვის და მუხარინსკის თანადასწრებით განიხილა უსახელო საზოგადოებისაგან წარმოდგენილი პროექტი **ელექტრონის ტრამვაისა.** პროექტში სულ იყო 66 ნახატი, რა ჯურისაც უნდა იყოს ტრამვაი; კომისიამ მოიწონა 49, ხოლო საჭიროდ დაინახა ზოგიერთის შეცვლა: მუშტაიდთან სამი ლიანდაგის მაგივრად ორი ლიანდაგი უნდა იყოს, რომ ეტლების მიმოსვლა არ შეავიწროვოს! ერევნის მოედანზე —ოთხის მაგივრად— ორი-სამი; სასახლის ქუჩაზე ერთი ლიანდაგი და ისიც შუა ქუჩაზე და სხვ. აგრეთვე გაყვანილი უნდა იყოს გზა გოგილოს აბანოებიდან ქალაქის საყასბოებამდის, ნავთლუღს ქვემოდ. ლიანდაგი ზედ შუა ქუჩაზე უნდა იყოს დაგებული, ხოლო ასახვევი გზები, რაც შეიძლება, მომეტებული. კომისიამ საზოგადოდ მოიწონა წარმოდგენილი პროექტი და საღამოთი შეუდგა დანარჩენი ნახატების განხილვას: რა ტიპისა უნდა იყოს ვაგონები ზამთარ-ზაფხულ, სადა-სად უნდა იდგეს ბოძები, რომ ეტლების სიარულს არ დაუშალოს და სხვა ბევრი წვრიმალი რამეები. კომისიამ პროექტის განხილვის დასრულება სადღეისოდ გადასდო. დღეს სხდომაზედ მიწვეულია უსახელო საზოგადოების დირექტორი ბ. რაგოლერი, რომ კომისია პირის-პირ მოელაპარაკოს იმას და ურთიერთის შეთანხმებით საბოლოოდ გადასწყვიტონ ელექტრონის ტრამვაის საქმე.

◆ მომავალ არჩევნებისათვის **ამომრჩეველთა** სიები შეადგინეს და დაბეჭდეს კიდეც. ამ სიაში მოთავსებულები არიან საპოლიციო 1, 2, 3 და 4 განყოფილების მცხოვრებნი, რომელთაც ნება აქვთ არჩევანებში მონაწილეობა მიიღონ, სულ 882 კაცი.

◆ ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება კიევ-პოლტავის რკინის გზის უფროსი კ. ი. პოგორელკო. გაზეთებს გაუგონიათ, რომ შავი ზღვის ნაპირა **რკინის გზის** კეთება დაევალება ხსენებულს პოგორელკოს და სწორედ ამ საქმისათვის არის დაბარებული პეტერბურგშიო.

◆ „კავკაზ"-ს გაუგია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია **ფოთის საჯარო ბიბლიოთეკის** წესდების პროექტი.

◆ იგივე გაზეთი იტყობინება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება მიუცია ბ. ლავროვისათვის გამოსცეს ბაქოში ყოველდღიური **რუსული გაზეთი „ბაქო",** სრულის პროგრამით.

◆ ტფილისში ამ ჟამად მეტად გაძვირდა **ხორცი;** რაც იყიდება, ისიც იმდენად უვარგისია, რომ ხალხი მეტად შეწუხებულია. 12 თებერვალს, საღამოს, ქალაქის გამგეობას, ქალაქის სავაჭრო პოლიციის უფროს ზედამხედველის თანადასწრებით სხდომა ჰქონდა იმის გამოსარკვევად, თუ რამ გამოიწვია ქალაქში ხორცის ნაკლებულობა და როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს. როგორც გამოირკვა, ამის უმთავრესი მიზეზი ის გარემოებაა, რომ საქონლის ჭირის შიშით აღკრძალულ იქმნა ყარსის ოლქისა და ბორჩალოს მაზრიდან ტფილისში მსხვილ-ფეხა საქონლის მოდენა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიიდან საქონელი ვერ მოჰყავთ ცუდ გზებისა და ამინდებისა გამო. გამგეობამ გადასწყვიტა სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს —დროებით მაინც შეწყვეტილ იქმნეს აღკრძალვა ბორჩალოს მაზრიდან საქონლის მოდენის შესახებ და ამასთანავე შუამდგომლობა იქმნეს აღძრული—ვიდრე ქალაქში ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახები საკითხი გადაწყდებოდეს, საქონლის ხორცზე ნიხრი 9 კაპეიკიდან 10 კაპეიკამდე იქნეს გადიდებული

◆ 12 თებერვლის სხდომაზე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო შეუდგა დაწვრილებით საზოგადოებისა, საზოგადოების ბიუროსა და ტფილისის საბაღოსნო სკოლის **შემოსავალ-გასავლის** ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. რადგანაც ამ სხდომაზე საბჭომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ვერ მოასწრო, სხდომის გაგრძელება დაინიშნა ხვალ, 15 თებერვლისათვის; ამის გამო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელიც დანიშნული იყო მომავალ კვირისათვის, სამშაბათისათვის გადაიდო.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება შესახებ **გოგოლის** დღესასწაულისა.

◆ გასულ წლის დეკემბერში, როგორც თავის დროზედა გვქონდა აღნიშნული, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა დავა კავკასიის სამოსწავლო ოლქისა და გარდაცვალებულ **დ. ჭავჭავაძის** ძმის წულს შორის; უკანასკნელი თხოულობს დ. ჭავჭავაძის იმ ანდერძის გაუქმებას, რომლით განსვენებულმა 200.000 მან. დაუტოვა ხსენებულ უწყებას სტიპენდიების დაარსებისათვის. პალატის გარდაწყვეტილებით, ამორჩეულ იქმნა საექსპერტო კომისია, რომელმაც ეს საქმე უკვე განიხილა და სასამართლოს წარუდგინა. საქმის გარჩევა დაინიშნა თებერვლის შუა რიცხვებში, მაგრამ დაინტერესებულ მხარეთა თხოვნით პალატამ საქმის განხილვა გადასდვა მიმდინარე წლის აპრილის შუა რიცხვებამდე.

◆ ტფილისში პასტერის ასაცრელ სადგურზე ბევრი ხალხი იგზავნება ცოფიან პირუტყვებისაგან დაკბენილები ასაცრელად. აქ მოდიან როგორც კავკასიის ყველა კუთხიდან ცოფით ავადმყოფნი, აგრეთვე კასპიის იქითა მხრიდანაც. უმეტეს ნაწილად ეს ავადმყოფები ღარიბი ხალხია და იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ ვიდრე განიკურნებიან, ქალაქში თავის ხარჯით იცხოვრონ და მიმართავენ ხოლმე ღამის თავშესაფარს, რაც ავადმყოფისთვის ძალიან საძნელოა. ამის გამო განკარგულება მოხდა, რომ როდესაც სოფლის საზოგადოება სამკურნალოდ გზავნის ამგვარ ავადმყოფებს, იმდენი **ხარჯიც უნდა გამოატანოს,** რომ ავადმყოფს შეეძლოს ქალაქში გაუჭირვებლივ ცხოვრება, ვიდრე განიკურნება სენისაგან.

◆ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ცნობებით, გადამდებ სენით საქალაქო სამკურნალოში 4 თებერვლისთვის ყოფილა სულ 15 ავადმყოფი: 11 ყელის ჭირვებით და 3 ქუნთრუშით. 4 თებერვლიდან 12-მდე მიუღიათ 4 ავადმყოფი—2 ყელის-ჭირვებით და 2 ქუნთრუშით, გარდაცვლილა ერთი, მორჩენილა ოთხი, ასე რომ ამ ჟამად სამკურნალოში 12 ყელის ჭირვებით ავადმყოფია და 2 ქუნთრუშით. თავისუფალი ადგილი სამკურნალოში 15-მდეა.

◆ ტფილისის სასწავლებელთა **გამგე კომისიის სხდომა** დღეის ნაცვლად დანიშნულია შაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის გამგეობის სადგომში.

◆ ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო, რომ კავკასიაში მომრიგებელ სასამართლოებშიაც ჰყიდონ ხოლმე **საჸერბო მარკები;** მომრიგებელ მოსამართლის სასარგებლოდ მარკის მყიდველს გადახდება 4%.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლომ 15 და 20 იანვარს სხდომაზე გარდასწყვიტა, თანახმად სასჯელთა დებულების მე-277 და 523 მუხლებისა, მოსპობილ იქმნან საქმეები: ნიკოლოზ ხატიაშვილისა, გრიგოლ მოსესოვისა, ნიკოლოზ ღუაშვილისა, დავით ხიზანაშვილისა, დავით მოსულიანისა და სხვათა სულ 62 საქმემდე.

◆ ს. ალაგირიდან გვწერენ, რომ 30 იანვარს ს. ურსტონში ცეცხლი წაეკიდა მოჰამედ ვუშატიევის შენობას, რომელშიაც დაეწვა 5 ცხენი, 24 ძროხა და ღორი და 3 ცხვარი. ზარალი 1700 მანათამდეა.

◆ არტისტიულ საზოგადოების თეატრის დრამატიულ დასის არტისტის ვიქტორ პეტიპასთვის, 12 თებერვალს, წარმოდგენის დროს, საგარდეროზო ოთახიდან ვილაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს ოქროს საათი ძეწკვიანად, 100 მან. ღირებული. ეჭვი არავიზე არა აქვთ. ქურდებისა და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად საშუალება იქმნა მიღებული.

◆ 12 თებერვალს, პოლიციის მე-7 ნაწილში მცხოვრებს ეკატერინე ყარანგოზოვისას ციციშვილის აღმართზე უნახავს ძონძებში გახვეული რამდენიმე დღის დაბადებული ბავშვი, რომელიც მაშინვე ოლგას სამებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

შემახის ამბები

შემახა დიდი ქალაქი არ იყო, მაგრამ მეტად ცოცხალი, მოძრავი და მდიდარი კი იყო. მკითხველი დარწმუნდება ამაში, როდესაც შეიტყობს, როგორა სდუღდა სიცოცხლე შემახაში, როგორი ვაჭრობა და აღებმიცემობა ტრიალებდა ან როგორი თანხა მოქმედებდა სავაჭრო ასპარეზზედ ქალაქის დაღუპვამდე. სახაზინო დაწესებულების ანგარიშიდანა სჩანს, რომ მარტო ამ დაწესებულების საშუალებით გადატანილი ფული ყოველ წლივ უდრიდა 5,000,000 მანეთს. 1897 წლ. სტატისტიკურის ცნობებით შემახაში 20,000 მცხოვრებზე მეტი იყო; შემდეგის ცნობებით კი, როგორც ამბობენ, 30,000 მცხოვრები იქნებოდა ამ მიმავალ წელს. მოსახლენი უმეტეს ნაწილად შეჯ-

---

ფელეტონი

საშუალო სკოლის რეფორმა საფრანგეთში

საშუალო სკოლის რეფორმა დიდ საზრუნავ საგანს შეადგენს ეხლა საფრანგეთის საზოგადოებისათვის. ამ მოკლე ხანში საფრანგეთის პალატა განიხილავს საერო განათლების მინისტრის პროექტს ამ რეფორმისას. პროექტის ერთი უმთავრესი მხარე ის არის, რომ უნდა გათანასწორდეს უფლებით კლასიკური და ეგრედ წოდებული რეალური განათლება.

თუ კლასიკურ ტრადიციებზე აღზრდილი და რომანულ ენაზე მოლაპარაკე საფრანგეთი უკმაყოფილოა წმინდა კლასიკურის განათლებისა, რა ეთქმის თუნდ სლავიანურ ენაზე მოლაპარაკე რუსეთს, რომელსაც ისტორიულად არავითარი კავშირი არა ჰქონია კლასიციზმთან, თუ კავშირად არ მივიჩნევთ ძველ მალოროსიულ „სლავიანურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიებს", სადაც, პოლონეთის გავლენის ქვეშ, ვითომდა კლასიკური განათლება იყო შემოღებული!

ისტორიულ ტრადიციას დიდი ზედ-გავლენა აქვს თანამედროვე ცხოვრებაზე და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, როცა საფრანგეთის საზოგადოების ერთი ნაწილი უკმაყოფილოა ეხლანდელ მთავრობის პროექტისა, რადგან ამ ნაწილს ჰგონია, რომ კლასიკურ და რეალურ განათლების უფლებათა გათანასწორებით პირველი, ე. ი. კლასიკური განათლება, უკან დაიხევს, გაუვარგისდება. მაგრამ ეს შემცდარი აზრია: მართლაც, არსებულის სისტემის მიხედვით, ვისაც კი ზოგიერთ უფლებების შეძენა უნდა, იძულებულია კლასიკური სკოლა გაიაროს იმის მიუხედავათ, მოსწონს მას ეს კლასიკური განათლება, თუ არა. ახალ პროექტის განხორციელების შემდეგ-კი, კლასიკურ ენებს შეისწავლის ის, ვისაც სურვილი აქვს, ვისაც გული უდევს აქეთკენ. და ვინ არ იცის, რა სხვა-და-სხვაა ნაყოფი ძალდატანებით და ნებაყოფლობით სწავლისა. ახალის წესით ძველ ენებს ბევრად უკეთ ისწავლიან, ვიდრე ეს წინად იყო.

მეორე უმთავრესი მხარე პროექტისა ის არის, რომ საშუალო სკოლის პროგრამა გაგრძელება იქნება სახალხო სკოლის პროგრამისა და ამ გვარად საშუალო სკოლა პროგრამის მხრივ ყველასათვის ხელ-მისაწდომი ხდება. ამიტომაც არის, რომ ისეთი გულწრფელი დემოკრატი, როგორიც ჟორესია, თანაგრძნობით ეგებება მთავრობის პროექტის ამ ტეხნიურ მხარეს. მაგრამ დემოკრატიულ წრეებს და პროფესორებს არ მოსწონთ პროექტის სხვა მხარეები.

მაგალითად, განზრახულია საშუალო სკოლის დირექტორის უფლებათა გაფართოება. „როგორც სამინისტროს მოხელენი, დირექტორები ეხლაც ავიწროებენ მასწავლებლებს, ახალის წესის შემოღების შემდეგ-კი ისინი გახდებიან აუტანელი დესპოტები, რომელნიც თავიანთ სკოლებს მალე შეუფარდებენ ადგილობრივ ბურჟუაზიის შეხედულებებსა და მიმართულებას, ე. ი. ეს სკოლები ბურჟუაზულ-კლერიკალური იქნებიან. სკოლების ავტონომიისა და დირექტორების უფლების გაფართოება მხოლოდ მაშინ იქნება სასურველი, თუ დირექტორს მასწავლებლები აირჩევენ და სასკოლო საქმეთა მართვა-გამგეობაში პედაგოგიურ რჩევას ექნება შესაფერისი წილი".

ქართულ სცენაზე ამ სეზონში ორჯელ წარმოადგინეს კომედია „პედაგოგები". ამ პიესაში ყველასათვის თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ის შედეგი, რომელიც სკოლის დირექტორის ბატონობას მოჰყვება ხოლმე. ეხლანდელის წესით და იმ წესით, რომელიც ლეიგის (საერო განათლების მინისტრი საფრანგეთში) პროექტს სურს განახორციელოს, მასწავლებელის ბედი დირექტორის სრულის ნებისგან არის დამოკიდებული; უნდა დააწინაუროს, უნდა დასაჯის. ცხადზე უცხადესია, რომ ამისთანა დამოკიდებულება რყვნის ორივე მხარეს: უფროსი თან-და-თან პატარა დესპოტი ხდება, მასწავლებელი კი, თუ იგი ისეთი გმირი არ არის, როგორიც „პედაგოგების" ფლეჰმინგია, დღითი-დღე ჰკარგავს დამოუკიდებლობას, თან-და-თან მორჩილებას ეჩვევა და ბოლოს რჩება მხოლოდ უფროსის ანცირკულიარის აღმსრულებელი მოხელე და ეს აღმასრულებელ მანქანად ქცეული მოხელე უნდა ემსახუროს ისეთ ცოცხალ და წმინდა საქმეს, როგორც ბავშვების აღზრდა სწავლებაა! ამგვარ პირობებში სკოლა უსულო, მკვდარი დაწესებულებაა, მისი გამოცოცხლება, საღ ნიადაგზე დაყენება შეიძლება მხოლოდ იმ წესით, რომელიც ზემოდ არის ნაჩვენები: სკოლის ავტონომიისა და დირექტორის უფლების გაძლიერება (მთავრობის წინაშე), მასწავლებლებისაგან არჩეული დირექტორი და უფლება მოსილი პედაგოგიური რჩევა. დირექტორი ბატონი კი არ უნდა იყოს, იგი-primus inter pares'-ია პირველი თანასწორთა შორის.

მეორე ნაკლი, რომელიც უპოვა დემოკრატიამ ლეიგის პროექტს, ის არის, რომ ფორმალურად იგი შეძლებას აძლევს ყველას შევიდეს საშუალო სკოლაში (საშუალო სკოლის პროგრამა გაგრძელებაა სახალხო სკოლის პროგრამისა), ნამდვილად კი საშუალო სკოლა ღარიბებისათვის ხელ-მიუწდომელი იქნება, რადგან სწავლა აქ უფასო არ არის: საშუალო განათლებაც ისევე უფასო უნდა იყოს, როგორც დაბალიო, თხოულობს დემოკრატიული პარტია. სანამ ეს ასე არ იქ-

გუფულნი იყვნენ ქალაქის ქვემო ნაწილში, ეგრედ წოდებულს მაჰმადიანთა უბანში, სადაც მოთავსებული იყო მთელი შემახის ბაზარი. ამ ბაზარს შუა ჰყოფს ფართო ქუჩა— სიგანით 3 საჟენი.

შემახაში ისე ხშირი იყო ხოლმე მიწის რყევა, რომ მცხოვრებნი შეჩვეულები იყვნენ, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას და ამიტომაც 31 იანვარს, დილის 8 საათზე რომ რყევა დაიწყო მიწამ, ყურადღება არავინ არ მიაქცია. ხალხი ჩვეულებრივ საქმეს ადგა, არავინ არ იყო მომზადებული.

ეს იყო ხუთშაბათი, მაჰმადიანთა დღესასწაულის წინა დღე. ჩვეულებისამებრ, ყველა მაჰმადიანი ვალდებულად რაცხდა თავის თავს, აბანოში ებანა და გასუფთავებულიყო. აბანოები შემახაში 17-მდის იყო.

ამ დღეს მაჰმადიანთა ქალები, რომელთაც ჩვეულებისამებრ თავისუფალი დრო მხოლოდ ხუთ საათამდის ჰქონდათ, მოირთვნენ, ჩაიცვეს, რაც საუკეთესო ტანისამოსი ჰქონდათ, წაიღეს სასმელ-საჭმელი და გაეშურნენ აბანოებში, რომ თავის ნათესავებთან და მეგობარ ქალებთან რამდენიმე საათი სასიამოვნო საუბრით დრო გაეტარებინათ, რადგანაც მაჰმადიანთა ქალებისთვის აბანო თითქმის იგივეა, რაც ჩვენთვის კლუბი. კაცები—ზოგი ვაჭრობდა, ზოგი მუშაობდა. კარგა ციოდა. მაყალა ყველას გაჩაღებული ჰქონდა.

უცბად პირველ საათზე მოისმა მიწიდან საშინელი გრგვინვა, ამას მოჰყვა მეორე, მესამე... დედა-მიწაც შეირყა, შეინძრა, გაქან-გამოქანდა; ხალხს ბურთივით ისროდა, ფეხზე ველარავინ დადგა, მიწაზე მიცოცავდნენ გიჟებივით სხვა-და-სხვა მხარეს, ბევრი—თვით დაღუპვისკენ, სადაც შენობები ჰექა-ზრიალით იქცეოდა, და არა გრძნობდნენ რას ჩადიოდნენ. საზარელი ჰექა-ქუხილი დანგრეული შენობებისა, ათასობით ხალხის წივილ-კივილი, პირუტყვების გულშემზარავი ღრიალი... მუქარის გრგვინვა—გუგუნი დედამიწიდან... მტვერის უკუმეთი ღრუბლები და...ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ გაჰქრა ქალაქი, გამტვერდა, აღიგავა ქვეყნის პირიდან!.. დედა მიწა სულთმობრძავსათვით ხანდახან გაიკანკალებს, შეთრთოლდება.— გლოვა-ტირილი, შვილის მუდარება, სასოწარკვეთილი კვნესა ადამიანთა მოისმის ქრისტიანთა უბანში. არე-მარე მოცულია გულშემზარავი სიბნელით.

ვინც ცოცხალი გადარჩა, სულ-შეხუთული, გონება-მიხდილი ამ საშინელის მოვლენის გამო, ერთს-ღა ჰფიქრობს, რომ ქვეყნის უკანასკნელი დღე დადგა და ელის, რომ აი საცაა, დედამიწა გაირღვევა და ყველას ქვესკნელს შთანთქავსო.

გაზეთ „კასპს“ ატყობინებენ დეპეშით შემახიდან 10 თებერვალს: მეცხრე დღეს, დილით ამოთხარეს უგრძნობლად პატარა ქალი იმმი მიუსლიმ კიზი შემახის ქუჩაზე, ხეებ ქვეშ: ბავშვი საღამოთი მოცოცხლდა, და წყალი მოითხოვა.

11 თებერვლის დეპეშა. ჯერ-ჯერობით კომიტეტმა სიაში თავი-თავს მოუყარა 2,561 ოჯახს, რომლებიც შესდგებიან 14,301 სულისაგან; დახოცილებია 882: კაცები—43, დედაკაცები—330, ბავშვები—509; მათ შორის—31 სომეხია, დანარჩენები მაჰმადიანები. სიის შევსებას განაგრძობენ; კომიტეტს უჭირს ფული და კარვები; ხუთი ათასი სული გადასახლდა; ჰყინავს; მთავარ-მართებელმა დაათვალიერა ქალაქი; აუარებელი ღარიბები და ობლები არიან. ნანგრევების თხრას განაგრძობენ; მიწის რყევა შედგა; ბაღში გამართეს ბარაკი 70 ავადმყოფისათვის; კომიტეტი ძალიან მუშაობს.

გაზეთ „კასპს“ შემახიდან სწერენ 8 თებერვალს. წუხელის, ღამის პირველ საათზე, მიწა კიდევ იძრა, რომელმაც 5 წამი გასტანა. წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის გუმბათი, რომელიც გადაზნექილი იყო სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ, სულ დაეცა საყდარს, ჯერ კი არ ჩამოვარდნილა. დაზიანებული სახლებიც შეირყენ და თანდათან იქცევიან. 8 თებერვალს, დილით ათის ნახევარზე და 11 ს. 20 წუთზე ხელახლად იძრა მიწა. ორივე ნძრევამ 5 წამი გასტანა. შემახის ქვემო ნაწილში 11 ს. და 20 წ. რამდენიმე გრგვინვა მოისმა ზედი-ზედ.

რუსეთის ქრონიკა

∝ ფინანსთა სამინისტროს სატარიფო კომიტეტმა განიხილა საკითხი რკინის გზის სამგზავრო ტარიფის ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ. განზრახულია მოუმატონ ტარიფს სწრაფ მატარებლებით მოგზაურთათვის. რკინის გზების უწყება ტარიფის მომატებას ასაბუთებს იმით, რომ ბოლო დროს მეტად იმატა საექსპლოატაციო ხარჯებმაო; ამასთანავე ხსენებული უწყება იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ საზღვარგარედ სამგზავრო ტარიფი უფრო დიდია, ვიდრე რუსეთშიო. ასე რომ 18 თებერვლიდან, როდესაც მიმოსვლის დრო შეიცვლება, გადიდებულ იქნება აგრეთვე ტარიფი ზოგიერთ გზებზე, მათ შორის ამიერ-კავკასიის გზებზედაც სწრაფ მატარებლებისათვის.

∝ ქ. ქერჩის ხელოსანთა ოსტატებსა და შაგირდებს მთავრობისათვის მიუმართავთ თხოვნით—ნება მოგვეცეს ამოვირჩიოთ კომისია, რომლის მოვალეობა იქნება თვალყური ადევნოს, რომ სახელოსნოების პატრონებმა მტკიცედ აასრულონ სამუშაო დღის შესახებ არსებული კანონიო. თხოვნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთ სახელოსნოებში მუშებს უფრო მედ დროს ამუშავებენ, ვიდრე კანონი ნებას იძლევა; ხოლო პოლიცია იმდენად დატვირთულია საქმეებით, რომ არ შეუძლია ბეჯითად თვალ-ყური ადევნოს ხსენებულ კანონის აღსრულებას. ამგვარი კომისიები, მთავრობის ნებართვით, უკვე არსებობენ თურმე მინსკში და ზოგიერთ სხვა ქალაქებშიაც. კომისიას უფლება აქვს კანტროლი დააწესოს სახელოსნოებში და თუ შენიშნავს, რომ პატრონი არ ასრულებს სამუშაო დღის შესახებ არსებულს კანონს, მაშინვე უნდა აცნობოს ეს გარემოება პოლიციას და დაესწროს ოქმის შედგენას.

გურიის „ავ-კარგიანობა“

(წერილი ოზურგეთიდან)

ვინც ცოტა-ოდნად მაინც ადევნებდა ყურადღებას გურიის ცხოვრებას ამ ოცი წლის განმავლობაში, ის, უეჭველად, შეამჩნევდა, რომ ყოველი საზოგადო დაწესებულება, საერთო სასარგებლო საქმე ადვილად იკიდებს ფეხს და ვრცელდება გურიაში: არ ყოფილა ამ ოცი წლის განმავლობაში ისეთი ახალი საქმე, საშუალება-გამოგონება, რომელიც უწინარეს სხვა ჩვენი სამშობლოის კუთხისა, გურიაში არ დაწყებულიყოს პირველადვე: სწავლა-განათლების საქმეში სხვა-და-სხვა ტიპის სკოლების გავრცელება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საჯარო წიგნთ საცავ-სამკითხველოების გავრცელება ყველა მიყრუებულ სოფლებშიაც, შულცე-დელიჩის სისტემის ბანკების და მრავალნაირი კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება და სხვა... ყველა ამ საზოგადო საქმეებს სრულიად უბრძოლველად, პირველივე რჩევით ითვისებდა ხალხი; მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ კარგ მსმენელთ კარგი მთქმელებიც ჰყავდათ: არსად ისეთ წინდახედულობას, დარბაისლობას, მოსწრებულს, დრო და გარემოების შესაფერისს სჯა-ბაასს არ თხოულობს ხალხი მოქადაგისაგან, როგორც გურიაში; ამ აზრის დასამტკიცებლად ერთი კურიოზული შემთხვევა მაგონდება: ამ ათი წლის წინად სოფლის მასწავლებლები პირველი პიონერები—ხალხში განათლების შემტანნი იყვნენ. ერთმა ხალხის გულ-შემატკივარმა მასწავლებელმა მოინდომა მავნებელი და ეკონომიურად ხალხის გამღარიბებელი ჩვეულების, „ტირილ-აღაპის“ მოსპობა. ამ სასარგებლო აზრის გასავრცელებლად იმან მოიწოდა სოფლის საზოგადოება და შემდეგი სიტყვით მიჰმართა: „ჩვენი დროის დიდებულმა მეცნიერმა დარვინმა დაამტკიცა, რომ ჩვენ ყველა მაიმუნებისაგან მოვმდინარეობთო, ჩვენი წინა-პრები მაიმუნები იყვნენო; მაგრამ თან-და-თანის ვარჯიშობით და განვითარებით იმ მდგომარეობამდის მოვედით, როგორშიაც ეხლა ვიმყოფებითო; ამიტომ ყოველთვის უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ რაც ცუდი ჩვეულება გვაქვს ძველებისაგან ნაანდერძევი, ყველა უნდა მოვსპოთ და ახალი კარგი შემოვიღოთო“. თუმცა სურვილი ამ ორატორისა კარგი და სიმპატიური იყო, მაგრამ საზოგადოებამ ძლიერ იუკადრისა მაიმუნების შთამომავლობა და გულ-მოსული გურულები განშორდნენ მქადაგებელს. ასეთივე აზრი 3—4 წლის შემდეგ მეორე, უფრო წინ-დახედულ მოლაპარაკის წინადადებით ერთხმად მიღებულ იქმნა იმავე საზოგადოებისაგან.

ეს ამბავი მოვიყვანე აქ მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ხშირად კარგ აზრსაც კარგი გამოთქმა უნდა. ყოველი კეთილი საქმე და აზრი გავრცელდა გურიაში შეგნებულ, ნიჭიერ მოღვაწეებისაგან როგორც სოფლის მასწავლებელთა წრიდგან, ისე განვითარებულ ინტელლიგენციისაგან. დღეს-კი ყველა ამ ოცი წლის განმავლობაში დაარსებული საქმეები ნამეტან განსაცდელშია და თითქმის დაღუპვის გზაზედ სდგას: ახლა სოფლის სკოლებიც მეტად უფერულია და ზოგიერთის მხრით მავნებელიც შეიქმნა. სამწუხაროდ, ახლა ძალიან ცოტაა ისეთი მასწავლებელი, რომელსაც თავის ნიჭით, გონებრივის და ზნეობრივის ღირსებით მოსწავლეებზედ სასურველი კეთილი გავლენა ჰქონდეს. უმეტესი ნაწილი სოფლის ახლანდელ მასწავლებლებისა მშრალი, მექანიკური გადამცემელია ამა თუ იმ მოწონებულის სახელმძღვანელოის გაკვეთილებისა; თავის ორიგინალური, თავისებური წვლილი, მეთოდი თითქმის არც ერთს ეხლანდელ მასწავლებელს არ შეაქვს პირველ-დაწყებითი სწავლის საქმეში და უმეტესობა თავიანთ საქმეს გულ-გრილად, ფორმალურად უყურებს. ბავშვები სამი-ოთხი წლის განმავლობაში გაუგებარად ზეპირობენ ცნობილ ლევიტსკის სახელმძღვანელოს და ისე სტოვებენ სკოლას, რომ ცნობის-მოყვარეობაც და კითხვის სურვილიც არ აქვთ აღძრული.

ნიჭიერის და შეგნებულის მოღვაწეების შემცირება, გამოკლება საგრძნობელად დაეტყო ყველა სხვა საზოგადო საქმეებსაც: დაბა-ქალაქების და სოფლების წიგნთ-საცავ-სამკითხველოების საქმე თითქმის ყოველგან ცუდათ მიდის. საზოგადოებისაგან არჩეული პირები, წიგნთ-საცავის საქმის გამგენი, ისე გულ-გრილად ეკიდებიან საქმეს, რომ მთელი თვეობით არ შეიხედვენ სამკითხველოში; ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ ყველა ძველი შეძენილი, დამფუძნებელთაგან და საქმის გულშემატკივართაგან შეგროვილი და შემოწირული ნივთები იკარგება და წიგნთ-საცავი, თან-და-თან გაფართოების მაგიერ, ცარიელდება. რომ შეეკითხოთ სამკითხველოების გამგეთ, რა მიზეზია, რომ დაარსებული და კარგად დაწყებული საქმე ილუპებაო, ერთად-ერთ პასუხს მიიღებთ: „ადრეა ჯერ ასეთი საქმე ჩვენი ხალხისათვისო, ის არ თანაუგრძნობს, ხელს არ უწყობს ამ გვარ საქმესო“; რომ ჰკითხოთ, ეცადეთ-კი რამე, რომ ხალხის თანაგრძნობა გამოგეწვიათო?— გეტყვიან: „რა ჩემი გახსენება უნდა, თუ თანაგრძნობა აქვთ, განა ვერ ხედვენ, რომ საქმე ილუპებაო“. აი ასეთი მიზეზებით

ნება, საშუალო სკოლა მარტო ბურჟუაზიის შვილებისათვის იქნებაო. და სრული სიმართლეც არის: ჯერ უფასოც რომ იყო სწავლა, მაშინაც გასაჭირი იქნება მუშის შვილებისათვის საშუალო სკოლაში სწავლა—ვინ უნდა შეინახოს, ვინ უნდა არჩინოს იგი ამ სწავლის დროს (თუ ამასაც სახელმწიფო არ იკისრებს)! მუშის შვილი იძულებულია ადრევე გახდეს მუშად, და აბა სწავლის ფასის გადახდა საიდან უნდა მოახერხოს.

მესამე ნაკლი ლეიგის პროექტისა, დემოკრატიის წარმომადგენელთა აზრით, ის არის, რომ იგი არ სცდილობს მოსპოს კლერიკალისმის გავლენა საშუალო სკოლაზე. არსებობს ეგრედ წოდებული დე-ფალუს კანონი, რომლის ძალით საშუალო განათლება არ შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას, იგი თავისუფალია და ამიტომ კერძო პირს ან საზოგადოებას უფლება აქვს დააარსოს საშუალო სკოლა. ამ კანონით მოხერხებულად ისარგებლეს კლერიკალებმა და ბევრი საშუალო სკოლა დაიარსეს. დემოკრატიის განზრახვაა აქაც მოსპონ კლერიკალისმის გავლენა, მაგრამ როგორ? არის ეხლანდელ მთავრობის ერთი წინადადება, რომლის ძალით სახელმწიფო სამსახურში შესვლის მსურველმა უთუოდ უნდა გაიაროს სახელმწიფო ლიცეის (საშუალო სკოლა) სამი უკანასკნელი კლასი, მაგრამ ჯერ ერთი, სასკოლო რეფორმის კომისია წინააღმდეგია ამ წინადადებისა, და მეორე ამ კანონით მაინცა-დამაინც ბევრს ვერ დააკლებენ კლერიკალისმის ძალას საშუალო სკოლაში.

პარლამენტში შესდგა ორი ჯგუფი: ერთს მეთაურობს რიბო და მისი განზრახვაა „სწავლების თავისუფლების“ დაცვა; ეს ჯგუფი ძველი ოპორტიუნისტებისაგან შესდგება. მეორე ჯგუფს, დემოკრატიულს მეთაურობს ბრისონი; ამ ჯგუფის მიზანია სკოლიდან კლერიკალისმის სრული განდევნა. ბრისონის ჯგუფს კავშირი აქვს ეგრედ წოდებულ „კონდორეს საზოგადოებასთან“, რომელსაც მიზნად იგივე აქვს—გამოჰგლიჯონ ხელიდან კლერიკალისმს საშუალო სკოლა და დაამყარონ იგი ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებზე. პირველ ხანებში ბრისონის ჯგუფიცა და კონდორეს საზოგადოებაც იმ აზრს ადგნენ, რომ სრულებით გაეუქმებინათ დე-ფალუს კანონი, ე. ი. საშუალო განათლება გაეხადნათ სახელმწიფოს მონოპოლიად. ამ საშუალებით ეგრე ვსთქვათ ერთის დაკვრით მოისპობოდა ყველა კლერიკალური საშუალო სკოლა. მაგრამ ეს აზრი შემდეგ უარყოფილ იქმნა: განათლების მონოპოლისტად ისევ სახელმწიფოს გახდომა და კერძო ინიციატივის სრულებით შეზღუდვა არ შეეფერება ეხლანდელ დროის აზრთა მიმართულებას. გარდა ამისა დემოკრატიული ჯგუფი შეაჩერა წმინდა პრაქტიკულმა მოსაზრებამ: ეხლავე რომ დახურონ ყველა კლერიკალური საშუალო სკოლები, ამ სკოლების მოსწავლენი ხომ სახელმწიფო საშუალო სკოლებში უნდა შევიდნენ და დემოკრატიასაც ეს უნდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მოსწავლეთა რიცხვი ერთობ დიდია და კლერიკალურად აღზრდილ დიდ ძალ მოსწავლეების ერთად თავმოყრა კი შეუცვლის ხასიათს და ტრადიციას თვით სახელმწიფო სკოლებსაც. ამიტომაც არის, რომ ზემოხსენებული ჯგუფები ვერ ბედავენ რადიკალურ ღონისძიების მიღებას —კლერიკალურ ლიცეების ერთბაშად დახურვას.

რაკი ეს რადიკალური ღონისძიება სასურველად ვერ დაინახეს, განზრახვა აქვთ სხვა მხრივ მოუარონ კლერიკალისმის გავლენას: უნდა დაავალონ კლერიკალურ ლიცეებს, რომ უთუოდ უნივერსიტეტში კურს-დამთავრებულნი licenié და agrégé იყოლიონ მასწავლებლებად და თვით ლიცეები კი დაუქვემდებარონ სასტიკ სახელმწიფო კანტროლს. ამ გვარ ღონისძიებისაგან ბევრს არას გამოელიან, რადგან მოხერხებული და გაქნილი კლერიკალები იმდენს ეცდებიან, რომ მთავრობასაც ფორმალურად დააკმაყოფილებენ და სკოლებსაც არსებითად თავიანთებურ! შეინარჩუნებენ.

რეალური საშუალება კლერიკალისმის წინააღმდეგ ზემოხსენებული რადიკალური საშუალებაა, მაგრამ რადგან მისი განხორციელება სასურველი არ შეიქნა, ამიტომ მსწრაფლ-მომქედ ღონისძიებათ თავი უნდა დაანებონ და ეცადონ შემოიღონ უფასო სახელმწიფო საშუალო სკოლა: ამითი შეძლება მიეცემათ გლეხისა და მუშის შვილებს მიიღონ განათლება, ამითი ადგილს იშოვის დემოკრატიულ აზრებით გამსჭვალული ის მრავალ რიცხოვანი ახალგაზდობა უნივერსიტეტისა, რომელიც ეხლა უადგილოდ არის და იძულებულია აუტანელის შრომით (კერძო გაკვეთილებით და რედაქციებში მუშაობით) გამოიკვებოს თავი.

დემოკრატიული რესპუბლიკა დემოკრატიისათვის უნდა იყოს: ყველა მსურველს შეძლება უნდა ჰქონდეს მიიღოს განათლება, ყველა მცოდნეს შეძლება უნდა ჰქონდეს თავის ცოდნის მოხმარებისა. უფასო საშუალო განათლება ბევრით დაუახლოვებს ამ მიზანს საფრანგეთის რესპუბლიკას.

დიდი ბრძოლა და შეტაკებაა მოსალოდნელი საფრანგეთის პარლამენტში ლეიგის პროექტის გამო. ეხლანდელი პარლამენტი, მიუხედავად ვალდეკ-რუსსოს ამდენის ხნის არსებობისა, ვერ არის ნამდვილ დემოკრატიის წარმომადგენელი და ამიტომ ძნელი მოსალოდნელია, რომ ეს პარლამენტი თანახმა შეიქნეს ისეთის დემოკრატიულ ღონისძიებისა, როგორიც უფასო საშუალო განათლებაა. მაგრამ ისტორია ხომ დღეისით არ თავდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმართლებენ თავს პროვინციის ეხლანდელი მოღვაწეები.

უვარგისი და უნიჭო მოღვაწეების მეოხებით ილუპება და ჰქრება ყველა სასარგებლო საზოგადო საქმე ჩვენში. ეს გარემოება მართლაც დიდათ დასაფიქრებელია: რა უნდა ვქნათ, რა ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი საზოგადო საქმეები სასურველ ნიადაგზედ დავაყენოთ და შესაფერი მზრუნველი და პატრონი აღმოუჩინოთ მათ.

ლოჯიკ პირელი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან“)

12 თებერვალი

პეტერბურგი. გზათა სამინისტრომ შეუკვეთა მიწის ამოსახვეტი მანქანა საკუთრად მდინარე სევერნაია დვინისთვის.

11 თებერვალს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს წარუდგა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტაცია. როდესაც თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ადრესი წაიკითხა, დიდმა მთავარმა უპასუხა: „გმადლობთ იმ პატივისცემისათვის, რომელსაც ამ ადრესში მიცხადებთ. მე არასოდეს არ გამირჩევია და არც ეხლა ვარჩევ ქუთაისის თავად-აზნაურთა ტფილისისაგან; მათი ინტერესებიც ერთნაირად ძვირფასია ჩემთვის, ამისთვის ახალს ვერაფერს ვერ დავუმატებ იმას, რაც ვუთხარი ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტაციას. გისურვებთ ერთნაირად აყვავებას“ ამის შემდეგ დეპუტაცია წარუდგა დიდს მთავრინებს მარიამ გიორგის ასულს და ქსენია ალექსანდრეს ასულს და დიდის მთავრის უავგუსტოესს შვილებს. წარდგენის შემდეგ საუზმეზე მიიწვიეს. მისმა უმაღლესობამ აიღო ბაკალი და წარმოსთქვა: „ვსვამ ქუთაისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურთა სადღეგრძელოს, ე. ი. იმერლებისა, გურულებისა და მეგრელებისა და ვისურვებ აღყვავებას ამ თავად-აზნაურობისა, რომელიც ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა მეფესა და სამშობლოს“.

ოფიცერთა საკრებულოს დარბაზში გაიმართა სევასტოპოლის დაცვის თანამოზიარეთა სადილი, რომელსაც დაესწრო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

12 თებერვალს ბუხარის ემირი, მემკვიდრისა და ამალის თანხლებით, სანახავად იყო მინისტრებთან, ქალაქის უფროსთან, გუბერნატორთან და კომენდანტთან.

12 თებერვალს ანიჩკოვის სასახლეში ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა, ხელმწიფე მემკვიდრის თანადასწრებით, მიიღო ბუხარის ემირი მისის მემკვიდრით და ამალით, თორმეტის ნახევარზე საცეკვაო დარბაზში დაათვალიერეს ემირის მოტანილი ძვირფასი საჩუქრები. მისმა უდიდებულესობამ ფანჯრიდან დაათვალიერა ემირისაგან საჩუქრად მოყვანილი ცხენები.

უმაღლესად ნება ებოძა ქალაქ კიევს, რომ ობლიგაციური სესხით აიღოს 2,500,000 მან.

რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი პომპასევიჩი მოკვდა, ამის გამო აცხადებენ, რომ ამ გვარის სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტში არ ყოფილა.

მათმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერეს პაჟთა კორპუსი; მისმა უდიდებულესობამ შვიდ პაჟს მიულოცა კამერპაჟობა, შემდეგ მათი უდიდებულესობანი შებრძანდნენ რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში და დაათვალიერეს ჰერცოგის მაქსიმილიანე ლეისტენბერგელის აკლდამა, საძვალეში მოთავსებული, რომელიც განსვენებულის დიდის მთავრინას მარიამ ნიკოლოზის ასულის სურვილით, მიდგმულია კათოლიკეთა ეკკლესიაზე. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, სამი დღით დაითხოვონ პაჟები.—11 თებერვალს ალექსანდრე ნეველის ლავრაში, დღისით, ვიღაც ბოროტ-გამზრახველი თავს დაეცა არხიმანდრიტს ნიკონს და უნდოდა იმისი მოკვლა და გაძარცვა: ორჯერ ძლიერ დაჰკრა ჩაქუჩი თავში და გაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ არხიმანდრიტი 72 წლისაა და სისხლიც ბევრი ედინა, რადგანაც ძალიან ჯანსაღი კაცია, ლოგინში არ ჩაწვა. ავაზაკის დასაჭერად მიღებულია უკიდურესი ზომები.

ოდესა. საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ზენგერი ოდესიდან წავიდა.

კრონშტადტი. სავანიდან პეტერბურგის ნავთსადგურში ორი იალქნიანი გემი წავიდა გარპიუსით დატვირთული.

ჰელსინგფორსი. უმაღლესად ნაბრძანებია, ფინლიანდიის სახელმწიფო ფულიდან გადაიდოს 630,000 მარკა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გასადიდებლად ჰელსინგფორსში; 200,000 საპოდას მამულის ნაწილის შესასყიდად; 280,000 მიეცეს სესხად ფინლიანდიის თეატრის საქციონერო საზოგადოებას.

სიმბირსკი. გარდაცვალებულმა ა. ი. კარტაშევმა, რომელიც დიდხანს ქალაქის თავად იყო, ქალაქს უანდერძა მთელი თავისი ქონება საქველმოქმედო მიზნისთვის.

ვარშავა. ადგილობრივი მმართველობა აპირებს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც შეიძლება მხოლოდ ჰერმეტიულის ბუხრების გაკეთება.

ვაშინგტონი. პრინცმა ჰენრიხმა და პრეზიდენტმა რუზველტმა ერთმანეთი ინახულეს. პრინცი მივიდა სენატის სხდომაზე, სადაც ტაშის კვრით დახვდნენ.

ვაშინგტონი. გუშინდელს ნადიმზე, რომელიც პრინც ჰენრიხის პატივსაცემად იყო გამართული, პრეზიდენტმა რუზველტმა დალია სადღეგრძელო გერმანიის იმპერატორის და გერმანელთა და სთქვა; „ჩვენ გაკვირვებული ვართ გერმანიის დიდებულის წარსულით და დღევანდელის სიდიადით, და ვუსურვებთ მას მომავალში უფრო მეტ წარმატებას. დეე განმტკიცდეს მეგობრული კავშირი გერმანიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ხალხთა შორის“. პრინცმა დალია სადღეგრძელო პრეზიდენტისა და შეერთებული შტატების ხალხისა და გამოსთქვა იმედი ორივე ხალხის მტკიცე დაკავშირებისა. შემდეგ რუზველტმა აიღო ბაკალი პრინცის სადღეგრძელოდ და სთქვა: „ამერიკის ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმებით და გარწმუნებთ ჩვენს თქვენდამი ღრმა პატივის ცემაში“. შუა ღამისას პრინცი ნიუ-იორკში დაბრუნდა.

კიევი. აგურზე ფასმა დაიწია—13 მანეთია ათასი; უფულობის გამო, ბევრმა ქარხანამ მოქმედება შეაჩერა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სობოროში ცეცხლი ჩაქრა, ტაძარს არაფერი არ ავნო.

საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლოდ დაინახა მიეცეს ოფიცრებს, თანხმად მათის თხოვნისა, საცხოვრებელი სადგომები.

მოსკოვი. ოლქის სასამართლომ გაარჩია გაკოტრებულის საბა მამონტოვის საქმე. მოვალეთა ვექილებმა უარი განაცხადეს ორი მილიონის დავაზე, რადგანაც მამონტოვს მოურიგდნენ. მამონტოვის ვექილმა სთხოვა სასამართლოს გაკოტრების საქმის მოსპობა. სასამართლომ შუამდგომლობა შეიწყნარა.

13 თებერვალი

პეტერბურგი. დაამტკიცეს თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლები: კალუგისა—იანოვსკი, მოსკოვისა—თავად ტრუბეცკოი, რიაზანისა—ტრაშუსოვი, პეტერბურგისა—ზინოვიევი და ყაზანისა—საზონოვი.

მინისტრთა კომიტეტის კანცელარიის უფროსის თანაშემწე ბერეზნიკოვი გადაყვანილ იქმნა შავი ზღვის ვიცე-გუბერნატორად.

თეთრი არწივის ორდენი ებოძა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ტეხნიურ ინსტიტუტის დამსახურებულ პროფესორს ნიკოლოზ დაბზინს.

გამოცხადდა: „ფინანსთა მინისტრმა, მიწადმოქმედების მინისტრთან შეთანხმებით, შესაძლებლად სცნო, ნება მიეცეს გასანათებელ ნავთის ზეთების გამოტანისა აქციზის პატიებით სპარსეთში სრახის დამოჭნაზე იმ პირობით კი, რომ ეს ზეთები გაისინჯოს დამოჭნაში საქციზო უწყების წარმომადგენლის თანადასწრებით“.

საერო განათლების სამინისტრო აცხადებს პირობებს, რითაც ნება ეძლევათ საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებს, რომ კერძო გაკვეთილები აძლიონ ფასით იმ სასწავლებლების შეგირდებს, რომლებშიაც თითონ ასწავლიან, აგრეთვე პირობები, რომ ქალებმა მუსიკა ასწავლონ სავაჟო საშუალო სასწავლებლების უმცროსს კლასებში, თუ რომ კარგად მომზადებული მუსიკის მასწავლებელი კაცი არა ჰყავთ.

ტაინი სოვეტნიკობა ებოძა სიბირის სამხედრო ოლქის სამხედრო-საოლქო საბჭოს წევრს ზლატოვერხოვნიკოვს და დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან ავადმყოფობის გამო.

უფა. მოუსვლიან მაზრებში სათესლე შვრია დაუბრკოლებლივ მოაქვთ. საჭმლის უქონლობამ გამოიწვია სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; საბრძოლველად მოვიდა სამი რაზმი წითელის ჯვრისა. საზოგადო სამუშაო, რომელზედაც რამდენიმე კაცი მუშაობს, კარგად მიდის.

მოსკოვი. მევენახეთა და მეღვინეთა კრებაზე სჩივიან ღვინით ვაჭრობის შევიწროებაზე სასმელების გასყიდვის ახალი წესების შემოღების გამო; ღვინოს გასავალი არა აქვს, ხალხი თითონა ხმარობს ბევრად მეტს, ვიდრე საჭიროა. ღვინის მკეთებლები უჩივიან ღვინით მოვაჭრეებს, რომ ისინი ცუდ ღვინოს ყიდულობენ და შაქრით აკეთებენო, კარგი ღვინო კი გაუსყიდველი რჩებაო. საეკლესიო ღვინის შესახებ სექციაში კამათი მოხდა. სექცია ამბობს, რომ საეკლესიო ღვინოში სრულიად არაფერი არ უნდა ერიოს.

ნიუ-იორკი. ალისა რუზველტმა შეასრულა იახტა „კაიზერ ვილჰელმის“ მონათვლის წესი, რის შემდეგაც იახტა უვნებლად ჩაუშვეს წყალში.

პენზა. ცეცხლის მქრობელის რაზმის შენობის დეპოს საძირკველი ჩაჰყარეს ქალაქისგან დათმობილს ადგილზე.

პეტერბურგი. ბაქოდან, როსტოვიდან დონზე, ნოვგოროდიდან და სხვა ქალაქებიდან ცნობა მოვიდა, რომ გოგოლის სადღესასწაულოდ ემზადებიან.

ბაქო. ი. თუმაევის, გრ. თუმაევის და კასპიის ამხანაგობის ქარხნებს ცეცხლი გაუჩნდათ, დაიწვა ვიშკები და აუზი 50,000 ფუთი ნავთით; ათი კაცი დაშავდა, ერთი მოკვდა და მეორეც სიკვდილის პირზეა.

ერთმანეთში შეთანხმდნენ, რომ ნავთი და კეროსინი გასყიდონ,—განსაკუთრებით რუსულს ბაზრებში,—რუსული ნავთის მწარმოებელთა საზოგადოება, რუსული ნავთის ბაქოს საზოგადოება, კეროსინისა და ზეთეულობის ნაწარმოებთა ამხანაგობა და ნავთის მრეწველი საზოგადოება „კავკაზი“. მთელი წლის ნაწარმოები შეერთებულ საზოგადოებათა 20 მილიონამდე ფუთი კეროსინი, 40 მილიონი მაზუთი და სხვა-და-სხვა ზეთები 3 მილიონი ფუთია.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 5 თებერვალს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
% სახელმწიფო რენტა	96⅛ გამყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	386½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	313½ „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	— „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	89¾ „
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის ღამის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ზ ი ზ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

ფაბრიკის ნიშანი
Заявленъ отдѣлу промышленности
ფაბრიკის ნიშანი

გაფრთხილება
თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი
პაპიროსები,
რომლებიც გარეგანი შეხედულობით ძრიელ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იმავე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.
ყოველივე შეცდომის ასაშორებლად,
ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზე განსაკუთრებითი ნიშანი, რომელიც ნება-დართულია უმაღლესი მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვთ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ წარწერას
Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми. (5—247—2)

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში
სამეურნეო სასწავლებელი
ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსული წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგათ გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია**. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.
ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ, № 20). (10—2)

Дозволено цензурою Тифлисъ, 13 Февраля 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.